პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

გუშინ საბჭოთა საქართველოს ზედიზედ მეთერთმეტედ გადაეცა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულის გარდამავალი წითელი დროშა!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 50 (18892) კვირა, 26 თებერვალი, 1984 წელი ფასი 3 კაპ.

საბჭოთა საქართველოს გამარჯვებული წინსვლა

რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება

სურათზე: თბილისი. 1984 წლის 25 თებერვალი. საქართველოს სს რესპუბლიკისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშის გადაცემის დროს.

ბ. კიკვაძისა და ა. რუხაძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

25 თებერვალს საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდ დარბაზში გაიმართა საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება. იგი მიეძღვნა საქართველოს სს რესპუბლიკისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშის გადაცემას, რომელიც რესპუბლიკას მიენიჭა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის, ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1983 წლის სახელმწიფო გეგმის წარმატებით შესრულებისათვის.

აქტივის კრებაზე მოწვეული იყვნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები და წევრობის კანდიდატები, სარევიზიო კომისიის წევრები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანოების, რესპუბლიკური სამინისტროების, უწყებებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელები და პასუხისმგებელი მუშაკები, მთელი რიგი პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნები სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების, იმ საწარმოებისა და ორგანიზაციების მოწინავეები და ნოვატორები, რომლებიც 1983 წლის შედეგების მიხედვით დაჯილდოვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის, აგრეთვე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფსაბჭოს და კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშებით, მეცნიერებისა და კულტურის, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო და სასაზღვრო ოლქების, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლები.

პრეზიდიუმში არიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ა. შევარდნაძე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. ქ. ანტონოვი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრები და წევრობის კანდიდატები გ. ა. ანდრონიკაშვილი, ვ. მ. არხიპოვი, გ. დ. გაბუნია, პ. გ. გილაშვილი, გ. ნ. ენუქიძე, ა. ნ. ინაური, ბ. ვ. ნიკოლსკი, ჯ. ი. პატიაშვილი, ტ. ვ. როსტიაშვილი, დ. დ. ქართველიშვილი, ო. ე. ჩერქეზია, შ. ა. ჩხეიძე, ნ. ა. ჩითანავა, ბ. ე. ხაბეიშვილი, თ. ი. მოსაშვილი, ვ. რ. პაპუნიძე, ფ. ს. სანაკოევი, ე. ქ. შარტავა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკი ა. ი. ხვალინოვი, სსრ კავშირის ელექტროტექნიკური მრეწველობის მინისტრის მოადგილე ო. დ. ზინჩენკო, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის თანაშემწე მ. ი. სტროლეშჩენკო, საკავშირო და რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, ქალაქების, რაიონების, საწარმოების, ორგანიზაციებისა და მეურნეობების წარმომადგენლები.

შეკრებილებმა უდიდესი აღფრთოვანებით აირჩიეს საპატიო პრეზიდიუმში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის კ. უ. ჩერნენკოს მეთაურობით.

კრება გახსნა ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ. მან თქვა:

დღეს ჩვენს კალენდარზე 25 თებერვალია.

იგივე თარიღია ისტორიის კალენდარზეც: ამ დღეს — 1921 წლის 25 თებერვალს თბილისიდან მოსკოვში, კრემლში, ლენინს და სტალინს გაეგზავნა დეპეშა, რომელსაც ხელს აწერდა სერგო ორჯონიკიძე: „თბილისის თავზე ფრიალებს საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა. გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!"

გავიდა 63 წელი. და ახლა მოსკოვიდან თბილისში მოვიდა ცნობა, რომ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა დაჯილდოვდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით — სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1983 წლის სახელმწიფო გეგმის წარმატებით შესრულებისათვის, საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის.

ეს წითელი დროშა რესპუბლიკის მშრომელებს გადაეცემათ დღეს — 1984 წლის 25 თებერვალს — ჩვენი დიდი, საყოველთაო-სახალხო დღესასწაულის დღეს, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისა და მისი კომუნისტური პარტიის შექმნის დღეს, იმ დღეს, როცა დიდი ოქტომბერი ჩვენს ქართულ მიწა-წყალზე მოვიდა.

და ეს წითელი დროშა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის დავალებით ჩამოგვიტანა სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ — ჩვენმა ძვირფასმა, დიდად პატივცემულმა ალექსი კონსტანტინეს ძე ანტონოვმა.

პარტია და ხალხი კარგად გიცნობენ თქვენ, ალექსი კონსტანტინეს ძევ, როგორც თვალსაჩინო სახელმწიფო მოღვაწეს, ქვეყნის სახალხო მეურნეობის დიდ ორგანიზატორს. თქვენ კარგად გიცნობენ და თქვენდამი უდიდესი მადლიერების გრძნობით არიან გამსჭვალული საბჭოთა საქართველოს მშრომელები, მუშაკები რესპუბლიკის მრეწველობისა, რომლის განვითარებაში თქვენ ესოდენ აქტიურ და დაინტერესებულ მონაწილეობას იღებდით, როცა ჯერ კიდევ ქვეყნის ელექტროტექნიკური მრეწველობის მინისტრი იყავით. ჩვენ სწორედ მაშინ ვიგრძენით, რა ორგანულად არის დამახასიათებელი თქვენთვის ისეთი თვისებები, როგორიც გახლავთ ახლის გრძნობა, გაბედული ექსპერიმენტის ერთგულება, მისწრაფება და სურვილი მხარი დაუჭიროთ ყოველივე მოწინავეს, პროგრესულს. ჩვენ ყველანი უსაზღვროდ მადლობელნი ვართ თქვენი იმისათვის, რომ ესოდენ დიდი დაინტერესებით ეკიდებით და ახლოს მიგაქვთ გულთან ჩვენი პრობლემები და დიდ დახმარებას გვიწევთ მათს პრაქტიკულ გადაჭრაში.

ძნელია გადაჭარბებით შეაფასო ის პირადი წვლილი, რომელიც თქვენ შეგაქვთ რესპუბლიკის მრეწველობის პროგრესული დარგების უპირატესი განვითარების უზრუნველყოფაში. უდიდეს მადლობას მოგახსენებთ ყოველივე ამისათვის!

ჩვენთვის განსაკუთრებით ღირსშესანიშნავია, რომ ამ წითელი დროშის გადმოცემის ცერემონია ხდება სწორედ დღეს, საბჭოთა საქართველოს სახელოვანი წლისთავის დღეს. ღირსშესანიშნავია იმიტომ, რომ ამ დროშაში ვხედავთ იმ წითელი დროშის ანარეკლს, 63 წლის წინათ რომ აფრიალდა რევოლუციური თბილისის თავზე, ვხედავთ იმ გამარჯვების დროშის ელვარებას, [illegible] რაიხსტაგზე რომ აღმართეს მიხეილ ეგოროვმა და მელიტონ ქანთარიამ.

ახლა კი ჩვენი დროშა შრომაში გამარჯვებისათვის დავიმსახურეთ!

[illegible] კეთება, მაღალი ორგანიზებულობა, სიმტკიცე და მიზანსწრაფვა რომ მოითხოვა.

წითელი დროშების ასეთი მონაცვლეობა, ასეთი თანამიმდევრულობა მიგვანიშნებს რევოლუციურ მოვლენათა, რევოლუციურ ეპოქათა მემკვიდრეობითობაზე, რევოლუციურ თაობათა მემკვიდრეობითობაზე, დიდი საბჭოთა ხალხის გმირულ ტრადიციათა მემკვიდრეობითობაზე.

გუშინ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე, რომელიც მიეძღვნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1984 წლის რიგგარეშე თებერვლის პლენუმის შედეგებსა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს სიტყვაში ჩამოყალიბებული დებულებებიდან და დასკვნებიდან გამომდინარე საქართველოს კომპარტიის ამოცანებს, ვილაპარაკეთ იმაზე, თუ როგორ გაისმა მთელი ძალითა და სისრულით მემკვიდრეობითობის პრობლემა კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკოს სიტყვაში, რომელმაც თქვა: საუკეთესო საშუალება იმისა, რომ ჯეროვანი პატივი მივაგოთ იური ვლადიმერის ძე ანდროპოვის ხსოვნას, — ეს არის უზრუნველვყოთ პოლიტიკაში მემკვიდრეობითობა, რომელსაც თანამიმდევრულად და მტკიცედ ახორციელებდა იგი, კოლექტიური ძალისხმევით წინ წავწიოთ მისი ხელმძღვანელობით წამოწყებული მუშაობა.

მემკვიდრეობითობა, — ხაზგასმით აღინიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე, — განყენებული ცნება კი არა, ცოცხალი, რეალური საქმეა. მისი არსი უწინარეს ყოვლისა ის არის, რომ შეუჩერებლივ ვიაროთ წინ. ამ წინსვლისას უნდა ვეყრდნობოდეთ ყოველივე უკვე მიღწეულს, შემოქმედებითად ვამდიდრებდეთ მას, კომუნისტების, მუშათა კლასის, მთელი ხალხის კოლექტიურ აზრსა და ენერგიას ვახმარდეთ გადაუწყვეტ ამოცანებს, აწმყოსა და მომავლის საკვანძო პრობლემებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის რიგგარეშე პლენუმის გადაწყვეტილებას, რომელმაც ერთსულოვნად აირჩია ამხანაგი კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად, მხურვალედ მიესალმებიან კომუნისტები, ყველა მშრომელი საქართველოსი, რომლის მიმართ კონსტანტინე უსტინის ძე უცვლელ და გულისხმიერ ზრუნვას იჩენს. სწორედ ამიტომ ცნობა იმის შესახებ, რომ პარტიასა და ხალხს სათავეში ჩაუდგა ამხანაგი კ. უ. ჩერნენკო — მტკიცე და თანამიმდევრული ლენინელი, გამოჩენილი პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე, ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევისა და იური ვლადიმერის ძე ანდროპოვის ერთგული თანამებრძოლი, უდიდესი კმაყოფილების გრძნობით აღიქვეს მთელ ჩვენს რესპუბლიკაში, ყოველ ქალაქსა და ყოველ სოფელში, თითოეულ სახლსა და თითოეულ ოჯახში.

(დასასრული მე-3 გვ.)

ულოცავენ ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად არჩევის გამო

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად ამხ. კ. უ. ჩერნენკოს არჩევის გამო მის სახელზე კვლავ მოდის გულითადი მილოცვათა წერილები და დეპეშები.

მისალოცი დეპეშები გამოგზავნეს:

გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარემ ვ. ბრანდტმა:

„პატივცემულო ბატონო გენერალურო მდივანო,

ყოველივე საუკეთესოს გისურვებთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის პოსტზე თქვენს არჩევასთან დაკავშირებით. თქვენ ამ პოსტზე მუშაობას იწყებთ მსოფლიოში შექმნილი სახიფათო დაძაბულობის მომენტში, ახალი განსაცდელის ჟამს, რომელსაც ერთად უნდა გავუმკლავდეთ კაცობრიობის გადარჩენისა და აყვავების ინტერესებისათვის.

თქვენს წინამორბედს ი. ვ. ანდროპოვს, რომლის გარდაცვალებამაც სხვებთან ერთად დიდად დაგვამწუხრა, არ ეწერა წარმატებით დაეგვირგვინებინა მშვიდობისა და დაძაბულობის შენელების განმტკიცებისათვის თავისი მეცადინეობა.

ვიმედოვნებ, რომ თქვენ და ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელობა შეძლებთ განაახლოთ გასული წლის დამლევს შეწყვეტილი ორი დიდი სახელმწიფოს დიალოგი, რათა კონტროლს დაუქვემდებაროთ გამალებული შეიარაღება და ხალხთა მეცადინეობა მოახმაროთ მშვიდობიან მიზნებს.

ჩემი პოლიტიკური თანამებრძოლები და მე გისურვებთ ამ საქმიანობაში უდიდეს წარმატებებს".

ფინეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარემ კ. სორსამ:

„მიიღეთ, ამხანაგო გენერალურო მდივანო, ჩემი გულითადი მილოცვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად თქვენი არჩევის გამო. გისურვებთ საუკეთესო წარმატებებს ამ მაღალ პასუხსაგებ პოსტზე მოღვაწეობაში თქვენი პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს მიერ დასახული მნიშვნელოვანი დიდი მასშტაბის ამოცანების განხორციელებისათვის.

ვსარგებლობ შემთხვევით, რათა გამოვხატო დიდი კმაყოფილება იმის გამო, რომ ფინეთისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობას ახასიათებს ტრადიციული გულწრფელი მეგობრობა და ურთიერთნდობა. დარწმუნებული ვარ, რომ ეს ურთიერთობა შემდგომში სტაბილურ განვითარებას პოვებს ფინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების 1978 წლის ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც შეესაბამება ფინეთისა და საბჭოთა კავშირის ძირეულ ინტერესებს. ასევე დარწმუნებული ვარ, რომ ფინეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მეგობრული, ამხანაგური ურთიერთობა კვლავაც წარმატებით განვითარდება და თავის მხრივ ხელს შეუწყობს ფინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრული ურთიერთობის შემდგომ განმტკიცებას".

ჩილეს სოციალისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა ქ. ალმეიდამ:

„ჩვენ დიდ კმაყოფილებას განიჭებს მოგილოცოთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად არჩევა. ჩვენი პარტია და ხალხი იცნობს თქვენს, როგორც რევოლუციონერისა და ინტერნაციონალისტის, დამსახურებას.

გისურვებთ დიდ წარმატებებს ამ მაღალ, ხელმძღვანელ პოსტზე მოღვაწეობაში".

მექსიკის გაერთიანებული სოციალისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა პ. გომესმა:

„მექსიკის გაერთიანებული სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით და პირადად გილოცავთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად არჩევას.

ვიმედოვნებთ, რომ მექსიკის გაერთიანებული სოციალისტური პარტიისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მეგობრული ურთიერთობა კვლავაც განვითარდება. გისურვებთ წარმატებებს მნიშვნელოვანი ამოცანების განხორციელებაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელის პოსტზე, საბჭოთა კავშირის განმტკიცებისათვის, საერთაშორისო მშვიდობის, განიარაღების, მშვიდობიანი თანაარსებობისა და საერთაშორისო თანამშრომლობისათვის ბრძოლაში".

ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ი. განდიმ:

„თქვენო აღმატებულებავ,

ინდოეთის მთავრობისა და ხალხის სახელით და პირადად უდიდესი კმაყოფილებით გულთბილად გილოცავთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გენერალურ მდივნად არჩევას. გისურვებთ ყველანაირ წარმატებებს თქვენი ქვეყნისა და თქვენი ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისა და აყვავებისათვის მოღვაწეობაში, აგრეთვე ქვეყნად მშვიდობისათვის საერთო ბრძოლაში, რომელშიც ჩვენი ორივე ქვეყანა აქტიურად მონაწილეობს.

ინდოეთსა და საბჭოეთს აკავშირებთ მტკიცე მეგობრობა და თანამშრომლობა, ჩვენი ორივე ქვეყნისა და მთელი მსოფლიოს კეთილდღეობას რომ ემსახურება. დაე, ეს ურთიერთობა კვლავაც განმტკიცდეს მომავალში".

მექსიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა მ. დე ლა მადრიდ ურტადომ:

„დიდ კმაყოფილებას მანიჭებს მოგილოცოთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის პოსტზე არჩევა, გისურვებთ წარმატებებს ამ სარბიელზე".

კვიპროსის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ს. კიპრიანუმ:

„საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად თქვენი არჩევის გამო კვიპროსის ხალხისა და მთავრობის სახელით გულითადად გილოცავთ, თქვენო აღმატებულებავ, და გისურვებთ წარმატებას თქვენს მაღალ პოსტზე".

მალტის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა დ. მინტოფმა:

„ჩემი კოლეგები და პირადად მე მალტის ხალხის სახელით გილოცავთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივნის მაღალ პოსტზე არჩევას. აგრეთვე სულით და გულით გისურვებთ ხანგრძლივ და წარმატებულ მუშაობას ამ პოსტზე, რაც ხელს შეუწყობს ჩვენი ორივე ქვეყნის ნაყოფიერ თანამშრომლობას მშვიდობიან ხმელთაშუა ზღვის რაიონსა და უფრო ფართო მსოფლიოში".

ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტმა მ. ჰ. მუბარაქმა:

„მოხარული ვარ თქვენს აღმატებულებას გულწრფელად, გულითადად მოვულოცო ის ნდობა, რომელიც გამოგიცხადეთ მეგობარმა საბჭოთა კავშირის ხალხმა, როცა აგირჩიათ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად. გისურვებთ კეთილდღეობასა და წარმატებებს თქვენი დიდი ამოცანების შესრულებაში, გისურვებთ ჩვენს ქვეყნებს შორის არსებული მეგობრული კავშირ-ურთიერთობის შემდგომ მუდმივ განვითარებას ჩვენი ხალხების კეთილდღეობისა და ერთობლივი ინტერესებისათვის, საერთაშორისო უშიშროებისა და მშვიდობისათვის".

პაკისტანის პრეზიდენტმა მ. ზია-ულ-ჰაკმა:

„თქვენო აღმატებულებავ,

პაკისტანის ხალხისა და მთავრობის სახელით და პირადად გულწრფელად გილოცავთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის პოსტზე არჩევას. დარწმუნებული ვარ, რომ თქვენი ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხი კიდევ უფრო მეტ აყვავებას მიაღწევს და უდიდეს წვლილს შეიტანს ქვეყნად მშვიდობის საქმეში, რომლისთვისაც საბჭოთა კავშირს აკისრია განსაკუთრებული პასუხისმგებლობა.

ვსარგებლობ შემთხვევით და გამოვთქვამ იმედს, რომ კიდევ უფრო განვითარდება პაკისტან-საბჭოთა კავშირის ურთიერთობა ჩვენი ხალხებისა და ქვეყნების სასარგებლოდ. პაკისტანი თავის მხრივ მზად არის გადადგას პოზიტიური ნაბიჯები ამ მიმართულებით.

მინდა ეს შესაძლებლობა გამოვიყენო იმისათვის, რომ თქვენს აღმატებულებას ვუსურვო ჯანმრთელობა, კეთილდღეობა და ბედნიერება.

ერწმუნეთ, თქვენო აღმატებულებავ, ჩემს ერთობ დიდ პატივისცემას".

უგანდის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ა. მილტონ ობოტემ:

„თქვენო აღმატებულებავ,

უგანდის სახალხო კონგრესის პარტიის, უგანდის მთავრობისა და ხალხის სახელით, აგრეთვე პირადად გულწრფელად გილოცავთ და ყოველივე საუკეთესოს გისურვებთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მაღალ პოსტზე თქვენს არჩევასთან დაკავშირებით.

ეჭვი არ მეპარება, რომ თქვენი ხელმძღვანელობით საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი კვლავაც იბრძოლებს საერთაშორისო მშვიდობის, უშიშროების, ეკონომიკური განვითარებისა და მსოფლიოს ჩაგრული ხალხების განთავისუფლებისათვის.

ვიმედოვნებ, რომ კიდევ უფრო განმტკიცდება უგანდისა და საბჭოთა კავშირის მეგობრობა და თანამშრომლობა ჩვენი ხალხების სასარგებლოდ.

გისურვებთ, თქვენო აღმატებულებავ, ყოველივე საუკეთესოს, ჯანმრთელობას პირადად თქვენ და აყვავებას საბჭოთა კავშირის ხალხს".

ფილიპინების პრეზიდენტმა ფ. ე. მარკოსმა:

„თქვენო აღმატებულებავ,

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივნის პოსტზე თქვენი არჩევის გამო ფილიპინელი ხალხი, პირველი ლედი და პირადად მე გილოცავთ და გისურვებთ ყოველივე საუკეთესოს. გვერწმუნეთ, რომ გულწრფელად ვესწრაფვით თქვენთან მეგობრობას და ფილიპინების რესპუბლიკისა და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ურთიერთხელსაყრელ თანამშრომლობას. დარწმუნებული ვარ, რომ თქვენი აღმატებულების ხელმძღვანელობით ეკონომიკური, კულტურული, ტექნიკური და მეცნიერული თანამშრომლობა, რომელიც დავამყარეთ 1976 წელს თქვენს დიად ქვეყანაში ჩემი ვიზიტის დროს, ახალ განვითარებას ჰპოვებს ჩვენი ორი ხალხის საკეთილდღეოდ და წვლილს შეიტანს ქვეყნად მშვიდობისა და უშიშროების შენარჩუნებაში.

ერწმუნეთ, თქვენო აღმატებულებავ, ჩემს უდიდეს მოწიწებას და პატივისცემას".

არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის რეგიონალური ხელმძღვანელობის გენერალურმა მდივანმა ს. ჰუსეინმა:

„სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის პოსტზე თქვენი არჩევის გამო პირადად მე და ჩვენი პარტიის მთელი ხელმძღვანელობა გილოცავთ და ყოველივე საუკეთესოს გისურვებთ.

ვსარგებლობთ ამ შესაძლებლობით და ვადასტურებთ, რომ ერაყს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი განამტკიცოს ჩვენი ქვეყნების მეგობრობა და თანამშრომლობა ჩვენი ხალხების საერთო ინტერესებისათვის, იმპერიალიზმის, სიონიზმისა და ექსპანსიონიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისათვის.

გისურვებთ დიდ წარმატებებს მუშაობაში, ხოლო მეგობარ საბჭოთა ხალხს — შემდგომ აყვავებას".

პერუს რესპუბლიკის პრეზიდენტმა ფ. ბელაუნდე ტერიმ:

„დიდ კმაყოფილებას მანიჭებს გულითადად მოვულოცო თქვენს აღმატებულებას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად არჩევა და გისურვოთ წარმატებები თქვენს მოღვაწეობაში ამ ახალ, პასუხსაგებ პოსტზე და პირადი ბედნიერება. ვუსურვებ აგრეთვე აყვავებას დიდ საბჭოთა ხალხს".

იორდანიის ჰაშიმიდთა სამეფოს მეფემ ჰუსეინ ბენ ტალალმა:

„პირადად მე, იორდანიის ჰაშიმიდთა სამეფოს ხალხი და მთავრობა მოხარული ვართ, თქვენო აღმატებულებავ, თქვენ და მეგობარ საბჭოთა კავშირის ხალხს მხურვალედ მოგილოცოთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის პოსტზე არჩევა.

იორდანიის ჰაშიმიდთა სამეფო, რომელსაც საბჭოთა კავშირთან მეგობრობა და ურთიერთპატივისცემა აკავშირებს, ისწრაფვის განამტკიცოს ეს ურთიერთობა და გააფართოოს თანამშრომლობა ყველა დარგში ჩვენი მეგობარი ქვეყნებისა და ხალხების ინტერესებისათვის.

იორდანიის ჰაშიმიდთა სამეფო და არაბი ერი დიდად აფასებენ საბჭოთა კავშირის იმ უცვლელ პოზიციას, რომ მხარს უჭერდეს არაბი ხალხების საქმეებსა და მათს კანონიერ უფლებებს, განსაკუთრებით პალესტინელი ხალხის უფლებებს — დაიბრუნოს თავისი მიწა-წყალი, თვითონ განაგოს თავისი ბედი და თავისი სამშობლოს მომავალი.

დარწმუნებული ვარ, რომ განაგრძობთ თქვენს გზას — საბჭოთა კავშირი კვლავინდებურად მხარს დაუჭერს არაბთა ეროვნულ საქმეს.

გისურვებთ ჯანმრთელობასა და ბედნიერებას".

მისალოცი დეპეშები აგრეთვე გამოგზავნეს:

სამხრეთ აფრიკის აფრიკელთა ეროვნული კონგრესის პრეზიდენტმა ო. ტამბომ;

სენეგალის დამოუკიდებლობისა და შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ს. სისოკომ;

უპრონის პარტიის თავმჯდომარემ, ბურუნდის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ჟ.-ბ. ბაგაზამ;

სეიშელის კუნძულების ხალხის პროგრესული ფრონტის პრეზიდენტმა, სეიშელის კუნძულების რესპუბლიკის პრეზიდენტმა ფ. ა. რენემ;

სან-ტომესა და პრინსიპის კუნძულების განთავისუფლების მოძრაობის თავმჯდომარემ, სან-ტომესა და პრინსიპის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტმა მ. პინტუ და კოშტამ;

რუანდის რესპუბლიკის პრეზიდენტმა და განვითარებისათვის ეროვნული რევოლუციური მოძრაობის თავმჯდომარე — დამაარსებელმა ჟ. ჰაბიარიმანამ;

სპილოს ძვლის ნაპირის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ფ. უფუე-ბუანიმ;

საყოველთაო სახალხო კონგრესის პარტიის გენერალურმა მდივანმა, სიერა ლეონეს რესპუბლიკის პრეზიდენტმა ს. სტივენსმა;

ეკვატორული გვინეის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ო. მბასოგომ;

კამერუნის გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა პ. ბიიამ;

მალდივის რესპუბლიკის პრეზიდენტმა მ. გაიუმმა;

სომალის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტმა გენერალ-მაიორმა ს. ბარემ;

ეროვნული ხსნის სამხედრო კომიტეტის თავმჯდომარემ, მავრიტანიის სახელმწიფოს მეთაურმა მ. ჰაიდალამ;

ბოტსვანის რესპუბლიკის პრეზიდენტმა კ. მასირემ;

გაბონის რესპუბლიკის პრეზიდენტმა, გაბონის დემოკრატიული პარტიის გენერალურმა მდივანმა — დამაარსებელმა ო. ბონგომ;

ფილიპინების რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ს. ვირატამ;

მავრიკის პრემიერ-მინისტრმა ა. ჯაგნოტმა;

ლესოთოს სამეფოს პრემიერ-მინისტრმა ლ. ჯონათანმა;

ბაჰრეინის სახელმწიფოს ემირმა ს. ალ-ხალიფამ;

კუვეიტის სახელმწიფოს ემირმა ჯ. ას-საბაჰმა;

რევოლუციის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარემ, ზემო ვოლტის სახელმწიფოს მეთაურმა ტ. სანკარამ;

პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის აღმასკომის თავმჯდომარემ ი. არაფატმა;

სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის სახალხო ორგანიზაციის პრეზიდენტმა (ნამიბია) ს. ნუიომამ;

ნიგერიის ფედერალური სამხედრო მთავრობის მეთაურმა და შეიარაღებული ძალების მთავარსარდალმა გენერალ-მაიორმა მ. ბუჰარიმ;

ლიბერიის რესპუბლიკის სახელმწიფოს მეთაურმა და სახალხო ხსნის საბჭოს თავმჯდომარემ, შეიარაღებული ძალების მთავარსარდალმა ს. დოუმ;

ირანის ისლამური რესპუბლიკის პრეზიდენტმა ს. ხამენეიმ;

დასავლეთ სამოას პრემიერ-მინისტრმა ტოფილაუ ეტიმ;

ლესოთოს მეფემ მოშეშ მეორემ;

ეროვნული თავდაცვის დროებითი საბჭოს თავმჯდომარემ, განის სახელმწიფოს მეთაურმა ჯ. როლინგსმა;

ჯიბუტის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ჰ. გ. აპტიდონმა;

სუდანის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ჯ. ნიმეირიმ;

არაბული სახელმწიფოების ლიგის გენერალურმა მდივანმა შ. კლიბიმ;

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის გენერალურმა დირექტორმა ფ. ბლანშარმა;

წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის პრეზიდენტმა ა. ჰეიმ.

განვამტკიცოთ მიღწეული, გავაძლიეროთ ტემპი

ამომრჩეველთა შეხვედრა ვ. ვ. შჩერბიცკისთან

უკრაინის ქალაქებსა და სოფლებში მიმდინარეობს ამომრჩეველთა შეხვედრები ქვეყნის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს დეპუტატობის კანდიდატებთან. შეხვედრების მონაწილენი აცხადებენ, რომ მხურვალედ იწონებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკას, პარტიის მოღვაწეობას ეკონომიკის შემდგომი განვითარებისა და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის, მაღალ შეფასებას აძლევენ სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში დასახელებულ საუკეთესო მამულიშვილთა შრომითს და საზოგადო საქმიანობას. 24 თებერვალს კიევში გაიმართა ლენინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა შეხვედრა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთან, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანთან ვლადიმერ ვასილის ძე შჩერბიცკისთან.

შეხვედრა გახსნა პარტიის ლენინის რაიკომის პირველმა მდივანმა ა. უ. პანიკარსკიმ.

საპატიო პრეზიდიუმში დიდი ალმაცერობით აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო.

...ჰოთა ადამიანები გამოეთხოვნენ კომუნისტური პარტიის სახელოვან შვილს, საბჭოთა სამშობლოს მგზნებარე პატრიოტს, მშვიდობის მედგარ მებრძოლს იური ვლადიმერის ძე ანდროპოვს. მძიმე დანაკლისით დამწუხრებული ჩვენი ხალხი კიდევ უფრო მჭიდროდ შემოკავშირდა პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს გარშემო, გამოიჩინა კლასობრივი შეგნება და დიდი პოლიტიკური მოწიფულობა.

უკრაინის კომუნისტები, მშრომელები, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, სრული მოწონებით შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის გადაწყვეტილებას, რომელზეც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად ერთხმად აირჩიეს ამხანაგი კ. უ. ჩერნენკო. კონსტანტინე უსტინის ძეს კარგად იცნობენ ჩვენს ქვეყანაში და საზღვარგარეთ, როგორც ჩვენი პარტიის გამოჩენილ...

მტკიცე ლენინური კურსით

ამომრჩეველთა შეხვედრა ბ. ნ. პონომარიოვთან

საბჭოთა საქართველოს გამარჯვებული წინსვლა

(დასასრული)

თანამიმდევრულად ახორციელებდნენ ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს მიერ დასახულ ამოცანებს, იყვნენ მემკვიდრეობითობის პრინციპების ერთგული — ეს რესპუბლიკის კომუნისტებისათვის, ყველა მშრომელისათვის ნიშნავს მიაღწიონ ახალ, კიდევ უფრო მნიშვნელოვან წარმატებებს საბჭოთა საქართველოს ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაში. მეთერთმეტე ხუთწლედის მეოთხე გადამწყვეტ წელს ახალ მიჯნებს, ახალ მწვერვალებს რომ მივაღწევთ სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, ამის საწინდარია ზარშან რესპუბლიკის მიერ მოპოვებული წარმატებანი, როცა წარმატებით შევასრულეთ დაძაბული სოციალისტური ვალდებულებანი ყველა ისეთი ძირითადი მაჩვენებლის მიხედვით, როგორიც არის გამოშვებული პროდუქციის მოცულობა და ხარისხი, სამრეწველო წარმოების ზრდის ტემპი, შრომის ნაყოფიერების გადიდება, სახელმწიფოსათვის ძირითად სახეობათა სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიყიდვის გეგმის ვადამდე შესრულება, კაპიტალდაბანდებათა მკვეთრი ზრდა და ა. შ. და სწორედ ყველა ეს მიღწევა დაავგვირგვინა დღეს გარდამავალმა წითელმა დროშამ.

ან ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის, საქმისადმი შემოქმედებითი მიდგომის, გაბედული ექსპერიმენტების შედეგია, და სწორედ ეს არის აღნიშნული „მართვის სისტემის სრულყოფისათვის, ეკონომიკური მუშაობის დონის ამაღლებისა და რესურსების რაციონალური გამოყენებისათვის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში.

დღეს ულრმესი მადლიერების სიტყვებით მივმართავთ ჩვენს შესანიშნავ ქალებს, ჩვენს მამაც ამიერკავკასიელ მეომრებსა და მესაზღვრეებს, ჩვენს სახელოვან ახალგაზრდობას, — ყველას, ვინც ძალ-ღონისა და ენერგიის დაუზოგავად ამრავლებს ჩვენი დიადი სამშობლოს ეკონომიკურ და თავდაცვით ძლიერებას.

ამ წითელ დროშაში ხორცშესხმულია ნება და ენერგია მრავალი ეროვნების ადამიანებისა, რომლებიც მჭიდროდ არიან შეკავშირებული ერთიან, ერთსულოვან მონოლითურ ოჯახად — იმის ცოცხალ განსახიერებად, რომ საბჭოთა ხალხების მეგობრობა და ძმობა — ეს არის საბჭოთა ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი მონაპოვარი, ჩვენი სოციალისტური საზოგადოების შემდგომი აყვავების დაუშრეტელი წყარო.

[illegible]

ვიაროთ წინ, დავეყრდნოთ მიღწეულს

წითელდროშოვანი გახდა რესპუბლიკაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 63 წლისთავის დღესასწაული. გუშინ, 25 თებერვალს, საბჭოთა საქართველოს დაბადების დღეს, მას გადაეცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის.

რესპუბლიკის მშრომელებმა, რომლებიც ფართოდ მიიჩნევენ აღმშენებლობის მარშით, რომლის კურსი მთელი ქვეყნისათვის განსაზღვრა სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებმა, დაიმკვიდრეს კიდევ ერთი — მეთერთმეტე მწვერვალი. [illegible]

მეურნეობის სხვა დარგების მუშაკებმა ახალი შრომითი წარმატებები მოიპოვეს 1983 წლისა და მეთერთმეტე ხუთწლედის გეგმის შესრულებაში. დაჩქარდა ეკონომიკური განვითარების ტემპი, გაიზარდა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება, გაუმჯობესდა ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები. შესრულდა კაპიტალური მშენებლობის, საცხოვრებელი ბინებისა და სოციალური და კულტურული დანიშნულების ობიექტების საექსპლოატაციოდ გადაცემის პროგრამა. [illegible]

ბის ეკონომიკურ ექსპერიმენტს. რაიონებს შორის არიან ბოგდანოვკის, მახარაძის და ჩხოროწყუს რაიონები, რომელთა მშრომელებმა წარმატებით შეასრულეს უმნიშვნელოვანეს სახეობათა სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმები და სოციალისტური ვალდებულებანი.

სამრეწველო გაერთიანებებსა და საწარმოებს, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს შორის, რომელთა შრომითი კოლექტივები შეტანილი არიან სსრ კავშირის სახალხო [illegible]

ალწევენ შრომითი გმირობის შესანიშნავ შედეგებს, სამშობლოს უპატაკებენ მიღწევებსა და წარმატებებს.

დასასრულ ამხ. ანტონოვმა გამოთქვა რწმენა, რომ საქართველოს მშრომელები პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობით თავიანთ ღირსეულ წვლილს შეიტანენ 1984 წლის გეგმისა და მთლიანად ხუთწლედის დავალებათა შესრულებაში, ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის დეკემბრისა და 1984 წლის თებერვლის პლენუმების გადაწყვეტილებათა რეალიზაციაში.

[illegible]

ნამდვილად შრომითი გმირობა მოახდინეს მეთერთმეტე ხუთწლედის მესამე წელს სოფლის მშრომელებმა. რთულ, ულოლესად მძიმე ამინდის პირობებში მათ არა მარტო შეასრულეს სოციალისტური ვალდებულებანი, არამედ რეკორდულ მიჯნებსაც კი მიაღწიეს.

მომხსენებელმა გაანალიზა სამეურნეო საქმიანობის 1983 წლის [illegible]

[illegible]

(დასასრული 50.4 გვ.)

ვიაროთ წინ, დავეყრდნოთ მიღწეულს

(დასასრული)

[The main article body is dense and was not fully transcribed.]

…არის საგეგმო-გამაფრთხილებელი რემონტისა და პროფილაქტიკური სამუშაოების დაგვიანებული შესრულებაც, ძირითადი და წამყვანი პროფესიების მუშათა ქრონიკული ნაკლებობაც, მომსახურე და მერემონტე პერსონალის დაბალი კვალიფიკაციაც, კადრების დენადობაც, სუსტი შრომისა და საწარმოო დისციპლინაც. ესე იგი ყველაფერი ის, რაც იწვევს საწარმოების მატერიალურ დანაკარგებსა და წარმოების დეზორგანიზაციას.

…ლიკას, მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ყოველი ჩილდი არა მარტო უნდა გვახარებდეს, არამედ აღგვიძრავდეს კიდევ სურვილს გავაიაზროთ გაკეთებული, განვაზოგადოთ შეძენილი გამოცდილება, დავძლიოთ ჯერ კიდევ არსებული ნაკლოვანებები და სიძნელეები. ეს მთავარია.

იმისათვის, რომ უფრო გულდაჯერებით ვიაროთ წინ დასახული მიზნებისაკენ, საჭიროა კომპლექსურად, როგორც ერთი მთლიანი, განვიხილოთ ჩვენი წარმატე…

…საძლებლობების არასაკმარისი გამოყენება. მაგალითად, რესპუბლიკის ეკონომიკაში იანვრის შედეგების მიხედვით ბოლო ათი წლის მანძილზე უზრუნველყოფილია სამრეწველო პროდუქციის მოცულობის ზრდის ყველაზე სწრაფი ტემპი — 108,2 პროცენტი. ამასთან არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ, რომ რესპუბლიკის ქიმიური მრეწველობის სამინისტროს, საავტომობილო მრეწველობის სამინისტროს, აგრეთვე რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროსა და…

…ლხო მოხმარების საქონლის წარმოების ყოველმხრივ გადიდების ამოცანა.

მთელი ეს მუშაობა ახლავე უნდა დავიწყოთ, წლის დამდეგისთანავე შევუდგეთ ახალი რეზერვების ძიებას, სხვადასხვა შეუსაბამობის აღმოფხვრას. უკეთ უნდა მოვიხმაროთ ინტენსიფიკაციის ჩვენს განკარგულებაში არსებული ბერკეტები და უწინარეს ყოვლისა ისეთი მძლავრი ბერკეტი, როგორიცაა სოციალისტური შეჯიბრება. სოციალისტური შე-…

…რი ნაკლოვანებანი შეუთავსებელია პარტიის წევრობასთან. და ეს ფრაზა კი არა, ჩვენი კატეგორიული მოთხოვნაა ყველა ხელმძღვანელისადმი.

და აქ, რა თქმა უნდა, მთავარი პირობაა მტკიცე დისციპლინა, საშემსრულებლო კულტურა. რა ბევრს ვკარგავთ იმის გამო, რომ ელემენტარული წესრიგი არა გვაქვს ჩვენი სახალხო მეურნეობის მთელ რიგ რგოლებში. და ამიტომ საჭიროა ავამაღლოთ მომთხოვნელობა ყველა დონეზე. უმ-…

…[not transcribed] …ტონოვს მადლობა გადაუხადოს პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, პირადად სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის კ. უ. ჩერნენკოს, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს ყველა წევრსა და ცენტრალური კომიტეტის მდივნებს ყურადღებისა და ზრუნვისათვის, ქვეყნის სახალხო-სამეურნეო კომპლექსის განვითარებაში ჩვენი რესპუბლიკის წვლილის ესოდენ მაღალი შეფასებისათვის. (საქინფორმი).

ჩვენს ტელეეკრანებზე

მოსკოვი

26 თებერვალი

პირველი პროგრამა. 9.00 — ახალი ამბები. 9.20 — დოკუმენტური ტელეფილმი „34 წუთი საქართველოს შესახებ". 9.55 — წვართები. 10.30 — მაღვიძარა. 11.00 — ვემსახურები საბჭოთა კავშირს! 12.00 — ჯანმრთელობა. 12.45 — „დილის ფოსტა". 13.15 — შეხვედრები საბჭოეთში. 13.30 — სოფლის საათი. 14.30 — მუსიკალური კიოსკი. 15.00 — ცხოვრების საგზური. 16.10 — მოგზაურთა კლუბი. 17.10 — ახალი ამბები. 17.15 — მოკლემეტრაჟიანი ფილმი. 17.45 — ხალხური მელოდიები. 18.00 — ციკლიდან „წყლება ამგილზე". 19.00 — საერთაშორისო პანორამა. 19.45 — მულტფილმები. 20.10 — მუსიკალური გადაცემა. 21.05 — ტელეფილმი „უცნობი ჩაპლინი". მესამე სერია. 22.00 — „ვრემია". 22.35 — მშვიდობა და ახალგაზრდობა. 23.10 — საფეხბურთო მიმოხილვა. 23.40 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.20 — კონცერტი. 10.00 — რუსული ენა. 10.30 — დოკუმენტური ტელეფილმი. 11.00 — ს. პროკოფიევი — სიმფონია-კონცერტი ვიოლონჩელისა და ორკესტრისათვის. 11.50 — მეცნიერება და ტექნიკა. 12.00 — ცხოველთა სამყაროში. 13.00 — სტადიონი ყველასათვის. 13.30 — სტუმრად ზღაპართან. 15.00 — ბურთიანი ჰოკეი. 15.45 — გვიამბობენ ჩვენი კორესპონდენტები. 16.15 — საესტრადო კონცერტი. 16.45 — „გააკეთე ჩვენთან ერთად, გააკეთე ჩვენსავით, გააკეთე ჩვენზე უკეთ". 17.45 — მხატვრული ტელეფილმი „მისი ალმატებულების ადიუტანტი". მეოთხე სერია. 18.55 — „მლერის ზარა დოლუხანოვა". 19.30 — სსრ კავშირის თასი ფეხბურთში, მერევედფინალი. შესვენებისას (20.45) — „ძილი ნებისა, პატარებო!" 22.00 — „ვრემია". 22.35 — მხატვრული ტელეფილმი „იყიდება დათვის ტყავი".

თბილისი

პირველი პროგრამა. 9.00 — ახალი ამბები (რ.). 9.15 — „მოამბე". 9.50 — ხალხური შემოქმედება — კონცერტი. 10.35 — „კვირის ეკრანი" — სატელევიზიო გადაცემების ანონსი". 11.00 — „სამეურნეო მექანიზმი — სიახლენი, პრობლემები". 11.45 — „საკვირაო გამოცანა". 11.50 — ქართული ენისა და ლიტერატურის ტელეკურსი (ლექტორი თ. კვაჭანტირაძე). 12.20 — სოცშეჯიბრების კვარცხლბეკზე — „ზნოირი წყურიანი". 13.15 — მხატვრული თვითშემოქმედების საკავშირო ფესტივალისათვის — მომღერალი ოჯახების სატელევიზიო ფესტივალი — „ჩაგანაშვების ოჯახი". 13.45 — „საკვირაო გამოცანა". 13.50 — მხატვრული პროგრამა — „ფილმი, მსახიობი, როლი". 15.25 — „საკვირაო გამოცანა". 15.30 — „ელექტრიკა". 16.00 — ფეხბურთი საბჭოთა კავშირის თასზე თბილისის „დინამო" — მინსკის „დინამო". შესვენებისას — კინონარკვევი. 17.45 — ჯანმრთელობა. 18.25 — მულტპანორამა. 19.10 — ახალგაზრდობისათვის — „ცხოვრება კალისა". ლეგენდად ქცეული ადამიანი — ნ. დ. დიმიტროვი. 20.00 — „მოამბე". 20.35 — გლობუსი. 21.25 — ვარ, საპატიო მე მოქალაქე! 22.00 — „ვრემია". 22.35 — „შრომელი და ახალგაზრდობა" (რ.). 23.10 — სპორტული პროგრამა.

თეატრი

26 თებერვალი

ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — დონ ჟუანი (დღისით), ბათაფერა (საღამოს); რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ხანუმა ბძა-სამეე (დღისით), ათვინიერებენ მიმინოს (საღამოს); მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — თავადის ახული მერი (დღისით); ჯადოს ხიზნები (საღამოს); თბილისის სახელმწიფო დრამატული — კომედი (დღისით და საღამოს. მეთექსმეტე აბონ. 12 ს.), ის მაინც ბრუნავს სახელობის მუსიკალური კომედიის — ვქორწინ ამპოლიტი (დღისით), სიყვარულის თავშესაფარი (საღამოს. პრემიერა); მინიატიურების სახელმწიფო — ახალ ბინას გილოცავთ; მეტეხის თეატრი — ელიზი; მოზარდმაყურებელთა ქართული — ბიჭუნა და კარლსონი (№ 11 აბონ. 12 ს.), ის მაინც ბრუნავს (№ 19 აბონ. საღამოს 6 ს.); ფილარმონია — ვია „ივერია" — „არგონავტები" (დიდ საკონცერტო დარბაზში); მღერის რ. კიკაბიძე (კონსერვატორიის დიდ დარბაზში).

პ. მ. სარაჯიშვილი

საბჭოთა მედიცინის მეცნიერებამ დიდი დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კლინიკური და ექსპერიმენტული ნევროლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი პეტრე მიხეილის ძე სარაჯიშვილი.

პ. სარაჯიშვილი დაიბადა 1894 წლის 22 მაისს. 1912 წელს იგი ჩაირიცხა ნოვოროსიის (ოდესა) უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1917 წელს. მომდევნო წლიდან იგი მუშაობს იწყებს თბილისის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის ნერვულ სნეულებათა კლინიკაში ჯერ ორდინატორად, შემდეგ კი ასისტენტად.

1923 წელს პ. სარაჯიშვილი ინიშნება ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის კლინიკური საავადმყოფოს ნერვულ სნეულებათა განყოფილების გამგედ. 1924-25 წლებში იგი მუშაობს ქ. მოსკოვში გამოჩენილი ნევროლოგის გ. ნ. როსოლიმოს კლინიკაში. 1928 წლიდან მივლინებულია პარიზში, სადაც ცნობილ მეცნიერებთან იმაღლებს კვალიფიკაციას კლინიკურ და თეორიულ ნევროლოგიაში.

1931 წელს პ. სარაჯიშვილი აირჩიეს თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის ნერვულ სნეულებათა კლინიკის პრივატ-დოცენტად, ხოლო 1933 წელს ამავე ინსტიტუტის სანიტარიის ფაკულტეტის მის მიერვე ჩამოყალიბებულ ნერვულ სნეულებათა კათედრის გამგედ.

1937 წლიდან 25 წლის მანძილზე პ. სარაჯიშვილი ხელმძღვანელობს თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის ნერვულ სნეულებათა კათედრას. ამ პერიოდში განსაკუთრებით გამოვლინდა პ. სარაჯიშვილის დიდი მეცნიერული და ორგანიზატორული ნიჭი. მან შეიმუშავა ახალგაზრდა პერსპექტიული სპეციალისტები, ჩამოაყალიბა მთელი რიგი კვლევითი მიმართულებანი, რის ბაზაზეც 1958 წელს შეიქმნა ნევროლოგიის ინსტიტუტი, რომლის უცვლელი დირექტორი იყო გარდაცვალებამდე.

ნევროლოგიის ინსტიტუტი მოკლე ხანში გახდა მძლავრი სამეცნიერო კერა, სადაც მაღალ აკადემიურ დონეზე წარიმართა მუშაობა თანამედროვე ნევროლოგიის აქტუალური პრობლემების გადასაწყვეტად. განსაკუთრებით აღსანიშნავია ეპილეფსიის პრობლემების დამუშავება ინსტიტუტში, რამაც ინსტიტუტს საერთაშორისო აღიარება მოუტანა და გახადა ეპილეფსიის დარგში მეთაურ დაწესებულებად საბჭოთა კავშირის მასშტაბით.

პ. სარაჯიშვილი იყო ფართო განათლების, დიდად ერუდირებული მკვლევარი. მისი სამეცნიერო ინტერესები მოიცავდა ნევროლოგიის ისეთ უმნიშვნელოვანეს დარგებს, როგორიც არის ნერვულ სნეულებათა კლი… [not read] …ნიკა, პათო-ბიოლოგიური საფუძვლები, მკურნალობა, პროფილაქტიკა, ეპიდემიოლოგია და ა. შ. იგი არის ნერვულ სნეულებათა ქირურგიული მკურნალობის ერთ-ერთი ინიციატორი და ორგანიზატორი ჩვენს რესპუბლიკაში. მან საბჭოთა კავშირში ერთ-ერთმა პირველმა დანერგა კლინიკაში ელექტროფიზიოლოგიური მეთოდები. მის სახელთან არის დაკავშირებული სხვადასხვა ნევროლოგიური სინდრომების და ნიშნების აღწერა.

პ. სარაჯიშვილის კალამს ეკუთვნის საბჭოთა კავშირსა და უცხოეთში გამოქვეყნებული 245 ნაშრომი, მათ შორის 11 მონოგრაფია.

პ. სარაჯიშვილის სახელი ფართოდ იყო ცნობილი სპეციალისტთა წრეებში. იგი იყო ეპილეფსიის საერთაშორისო ტერმინოლოგიური ლექსიკონის თანაავტორი და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ექსპერტი ეპილეფსიის დარგში. არჩეული იყო მრავალი საერთაშორისო სამეცნიერო ორგანიზაციისა და ასოციაციის წევრად. პ. სარაჯიშვილი იყო ეპილეფსიის საკავშირო საპრობლემო კომისიის თავმჯდომარე, ნევროპათოლოგთა და ფსიქიატრთა საკავშირო და რესპუბლიკური საზოგადოებების გამგეობათა წევრი, არჩეული იყო მთელი რიგი საკავშირო და რესპუბლიკური ჟურნალების, აგრეთვე დიდი სამედიცინო ენციკლოპედიის სარედაქციო საბჭოს შემადგენლობაში. მრავალი წლის მანძილზე იყო საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სამეცნიერო-სამედიცინო საბჭოს პრეზიდიუმის წევრი.

პ. სარაჯიშვილი დიდ სამეცნიერო და პედაგოგიურ მუშაობასთან ერთად ეწეოდა ფართო საზოგადოებრივ მოღვაწეობას, არჩეული იყო თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს დეპუტატად.

პ. სარაჯიშვილის დიდნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობა კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა სახელმწიფომ ჯეროვნად დააფასეს. იგი დაჯილდოებული იყო ორი ლენინის ორდენით, შრომის წითელი დროშის ორდენითა და მრავალი მედლით.

გამოჩენილი მეცნიერის, საზოგადო მოღვაწისა და პედაგოგის, დიდად განსწავლული მკურნალისა და ლირსეული მოქალაქის პ. სარაჯიშვილის ხსოვნა მუდამ დარჩება ჩვენს ხსოვნაში.

ბ. ა. შევარდნაძე, ს. პ. ბურენკოვი, გ. ა. ანდრონიკაშვილი, ვ. მ. არხიპოვი, ბ. დ. გაბუნია, პ. გ. გილაშვილი, ბ. ნ. ენუქიძე, ა. ნ. ინაური, ბ. ვ. ნიკოლსკი, ჯ. ი. პატიაშვილი, ტ. ვ. როსტიაშვილი, დ. ლ. ქართველიშვილი, ო. ე. ჩერქეზია, ზ. ა. ჩხეიძე, ნ. ა. ჭითანავა, ს. ე. ხაბეიშვილი, ბ. ვ. ადლეიბა, თ. ი. მოსაშვილი, ვ. რ. პაპუნიძე, ფ. ს. სანაკოევი, მ. კ. შარტავა, ნ. ნ. ბლოხინი, ე. კ. ხარაძე, ა. პ. საყვარელიძე, გ. გ. ლეჟავა, ი. ო. ანდრიაძე, ვ. მ. გაბაშვილი, ო. ი. ეჯიბაძე, ა. დ. ზურაბაშვილი, ბ. რ. ნანეიშვილი, ვ. მ. ოკუჯავა, მ. დ. უჩანეიშვილი, ე. გ. შენგელია, ს. ნ. ხეჩინაშვილი.

ჭიდაობა

ოლიმპიური წლის ჯილდოები

დღეს კაუნასში დასრულდება ძიუდოისტთა საკავშირო ჩემპიონატი. ასპარეზობის მეორე დღეს შეჯიბრება გვიან საღამომდე გაიმართა 86 და 78 კგ წონითი კატეგორიის ათლეტებმა. 86 კგ წონაში პირველობა მოიპოვა ა. იაცკევიჩმა (ლატვია, „დინამო"). მეორე ადგილი დაიკავა ვ. პესნიაკმა (ბელორუსია, „დინამო"). მესამე ადგილზე გამოვიდნენ ა. სენკევიჩი (ბელორუსია, „დინამო") და ვ. ტიმოფეევი (რსფსრ, „დინამო"). ქართველ სპორტსმენთაგან ბ. ფიცხელაურს საპრიზო ადგილზე გასვლის შანსი ჰქონდა, მაგრამ სანუგეშო ტურნირის პირველსავე შეხვედრაში დამარცხდა.

78 კგ წონაში შოთა ხაბარელი (საბჭოთა არმია) ფინალური შეხვედრა მოუგო ი. მერკულოვს (რსფსრ, „დინამო") და ქართველი ძიუდოისტი ვერცხლის მედალს დასჯერდა. მესამე ადგილზე გამოვიდნენ ხაგურდუკოვი (რსფსრ, საბჭოთა არმია) და ვორობიოვი (რსფსრ, „დინამო").

გუშინ დილით შეჯიბრებაში ჩაებნენ 71 და 65 კგ წონითი კატეგორიის ათლეტები. 71 კგ წონაში საქართველოს სპორტსმენთაგან ასპარეზობს გია გოგოლაურმა (საბჭოთა არმია), თამაზ ნამგალაურმა („დინამო") და გიორგი თენაძემ („ქარიშხალი"). ამ წონაში გამოდიოდა აგრეთვე ნიჭიერი ათლეტი, ჩვენი ოდესღაც თანამემამულე ლერი ნაკანი („დინამო"). პირველ და მეორე წრეში გოგოლაურმა დაამარცხა ა. აბდულაევი (რსფსრ) და მ. ჩედიგოვი (რსფსრ), ხოლო ნამგალაურმა — ს. ბოროდინი და მ. ტოკლმაროვი (ორივე — რსფსრ). მესამე წრეში ნამგალაურსა და გოგოლაურს ერთმანეთთან მოუწიათ შეხვედრა. წმინდად გაიმარჯვა ნამგალაურმა. ფინალში გასვლისათვის გამართულ ორთაბრძოლაში კი ნამგალაურმა [illegible] წაუგო მ. ფარხიევს (რსფსრ). რაც შეეხება თენაძეს, იგი პირველსავე წრეში დამარცხდა ი. სტრატანთან (მოლდავეთი). ნაკანმა პირველ წრეში წმინდად მოუგო ა. კოროვეს (უკრაინა), მეორეში — აგრეთვე წმინდად სტრატანს, მესამეში — პ. პონომარიოვს (ლატვია) და ფინალში გასვლისათვის შეხვდა ს. გორიჩევს (რსფსრ). ნაკანმა ეს შეხვედრა წააგო და საღამოს მესამე საპრიზო ადგილისათვის იბრძოლებს. ამრიგად, ფინალში ერთმანეთს შეხვდებიან ნამგალაური და გორიჩევი.

65 კგ წონით კატეგორიაში საქართველოს სპორტსმენთაგან არავის უასპარეზია, მაგრამ აქ გამოდიოდნენ ჩვენი თანამემამულეები: მ. ნაცარაშვილი (ლენინგრადი, „დინამო"), ჯ. მჭედლიანი (უკრაინა, „ქარიშხალი") და ტ. მარგიანი (უკრაინა „დინამო"). ნაცარაშვილი პირველ წრეში დამარცხდა კ. ხრჩოიანთან (სომხეთი), მჭედლიანი კი — კ. ისლამოვთან (ყაზახეთი). მარგიანმა პირველ წრეში მოუგო ს. ძუკოვს (აზერბაიჯანი), მეორეში — გ. ტლეხასს (რსფსრ), მესამეში — ა. უჭუხუს (რსფსრ) და ფინალში გასვლისათვის უნდა შეხვდეს ი. სოკოლოვს (ლენინგრადი).

ჯ. ენუქიძე,
(ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.).

სიტყვა „დინამოზეა"

გუშინ კიევში კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის მესამე საპრიზო ადგილისათვის გამართულ პირველ მატჩში ადგილობრივმა „სტროიტელმა" ანგარიშით 99:84 დაამარცხა თბილისის „დინამო". 28 თებერვალს თბილისში მოეწყობა ამ გუნდების მეორე შეხვედრა.

უკანასკნელ საათს

ძიუდოისტთა საკავშირო ჩემპიონატის 71 კგ. წონითს კატეგორიაში ოქროს მედალი მოიპოვა ს. გორიჩევმა. ფინალში მან თ. ნამგალაური დაამარცხა, რომელსაც ვერცხლის მედალი გადაეცა.

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი.